ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #36

ქ.ქუთაისი 17 ივლისი 2020წ.

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში _ `დამკვეთი”) და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ,,მზია შერგელაშვილის“-ს ს/კ 60001089838 მინდობილი პირი ვაჟა ბუხნიკაშვილი (შემდგომში _ `მიმწოდებელი”), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 83 (ოთხმოცდასამი) მეტრი იზოლირებული სადენის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ
CPV-31300000

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 166 (ასსამოცდაექვსი) ლარს და 00 თეთრს
2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მომსახურეობის მიღების ადგილი და ვადა

1. მომსახურეობის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი გ.ტაბიძის N58.
2. მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება 2020 წლის 17 ივლისიდან 2020 წლის 10 აგვისტომდე ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.
1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 17 ივლისიდან 2020 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის qalaq ქუთაისის №2 საჯარო სკოლა
მის. გ.ტაბიძე N58
ტელ. 0431272928
ს/კ 212850155
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22

ა/ა GGE08TB7544934020100001

დირექტორი **მურადი ჯიშკარიანი**

(ხელმოწერა)

b.a

შემსრულებელი:

ინ/მ „მზია შერგელაშვილი“
მის. ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 53
ტელ: 593599525
ს/კ 60001089838
საბანკო რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტ ბანკი“

საბანკო კოდი: PRKRGE22

ა/ა GE83PC0213600100012292
მინდობილი პირი **ვაჟა ბუხნიკაშვილი**

(ხელმოწერა)

b.a

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონულად